პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 155 (9931) | პარასკევი, 2 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები კრემლში (1-ლი გვერდი).

წერილი მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კრების მონაწილეთაგან ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ყველა კურსდამთავრებულისადმი (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ერთი საკოლმეურნეო ორგანიზაციის პარტიული ჯგუფები. პარტიული ორგანიზაცია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

ა. თომაძე. — წერილები ჩრდილოეთ კავკასიიდან (მე-2 გვერდი).

ვ. რეხვიაშვილი. — მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის უმნიშვნელოვანესი პირობაა (მე-2 გვერდი).

ვ. მეტრეველი. — დავაჩქაროთ [illegible] ავტომატიზაციისა და ელექტრომექანიკის [illegible] (მე-3 გვერდი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო [illegible] — მეზიური საქართველოს პავილიონი (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — მიხ. მრევლიშვილის „მოთხრობები“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის

ამას წინათ დამთავრდა მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერ და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს შორის. აზიის ორი უდიდესი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები შეხვდნენ ერთმანეთის ინდოეთის დედაქალაქ დელში იმისათვის, რომ განეხილათ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ინდოეთისა და ჩინეთისათვის საერთო ინტერესს წარმოადგენენ. პრემიერ-მინისტრებმა გამოთქვეს რწმენა ინდოეთისა და ჩინეთის მეგობრობისა, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს და მათი შესაბამისი ქვეყნების, აგრეთვე აზიის სხვა ქვეყნების მშვიდობიან განვითარებას. ეს მოლაპარაკება წარმოებდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო აზიის პრობლემების უკეთ გაგებისათვის, აგრეთვე ამ და სხვა ამგვარი პრობლემების გადაჭრის საქმეში მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად მშვიდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით ღონისძიებათა განვითარებისათვის. პრემიერ-მინისტრები შეთანხმდნენ, რომ მათმა შესაბამისმა ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ მჭიდრო კონტაქტი, რათა მათ შორის კვლავ იყოს სრული ურთიერთგაგება.

ეხებოდა რა ჯოუ ენ-ლაის გამგზავრებას ინდოეთში, გაზეთი „უინდინეიბაო“ თავის მოწინავე სტატიაში წერდა, რომ ამ ვიზიტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩინეთისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, აგრეთვე აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ინდოეთის პრესა გამოთქვამს ანალოგიურ თვალსაზრისს. მოწინავე სტატიაში სათაურით „აზიის მშვიდობა“ გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ წერდა, რომ ჯოუ ენ-ლაისა და ნერუს თათბირს „კოლოსალური მნიშვნელობა აქვს როგორც აზიისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის, რადგან იგი გამოსავალი წერტილია უფრო მძლავრი მოძრაობისა აზიის მშვიდობისა და სოლიდარობისათვის...“

ჯოუ ენ-ლაიმ და ნერუმ მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ინდოჩინეთის საკითხს. ეს სავსებით ბუნებრივია. ამჟამად ინდოჩინეთის საკითხს განიხილავს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი. სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რეპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლთა მეცადინეობით ჟენევაში მიხერხდა დასახულიყო ომის შეწყვეტისა და ინდოჩინეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზა. მაგრამ ასეთი შედეგი ხელს არ აძლევს ამერიკის მმართველ წრეებს, რომელიც დაინტერესებული არიან შეინარჩუნონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა. ამიკამად ეს წრეები აზიის წამყვანი ქვეყნების ზურგს უკან კვლავ აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკს, რათა ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და, კერძოდ, განახორციელონ აშკარა შეიარაღებული ჩარევა ინდოჩინეთის საქმეებში. ასეთ ვითარებაში მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ჩინეთისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრების მოლაპარაკებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ყველა შესაძლო გზით ყველა გადაუჭრელი საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებებს.

ჟენევის თათბირზე პირველად გაისმა აზიის ხალხთა ნამდვილი წარმომადგენლების ხმა. ფართო საერთაშორისო თათბირში პირველად მიიღო მონაწილეობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომელიც დაადგა სოციალიზმის გზას, გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ იმ მტრულმა სახელმწიფოებმაც კი, რომლებიც თავისი ულოგიკო და ობსტრუქციონისტული პოლიტიკით ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაიკავოს კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მისი მონაწილეობა აზიის აქტუალური პრობლემების განხილვაში, რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია. ჟენევის თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, ბოლოს და ბოლოს, დაიკავა თავისი ადგილი როგორც ერთერთმა სახელმწიფომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის. საზოგადოებრიობის ფართო წრეებს ეს მოვლენა მიაჩნიათ როგორც უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მთელი დემოკრატიული ბანაკისა სსრ კავშირის მეთაურობით, რომელიც გაუწყვეტლივ იბრძვის დიდი ჩინეთის სახელმწიფოს კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის.

საბჭოთა კავშირის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებთან ერთად ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მტკიცედ იბრძვის აზიაში მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის აზიის ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძველზე. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებას, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციამ, იმის შესახებ, რომ აზიის ქვეყნებს კონსულტაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან, რათა შესაბამის ურთიერთვალდებულებათა გზით მიიღონ ერთობლივი ღონისძიებანი აზიის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის. ინდოეთის დედაქალაქ დელში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯოუ ენ-ლაიმ კვლავ აღნიშნა, რომ სასურველია „აზიის მთავარი ქვეყნების შესაბამისი პასუხისმგებელი პირები დროდადრო ხვდებოდნენ და კონსულტაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან“.

გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინდოეთ-ჩინეთის მოლაპარაკების ძირითადი მიზანი იყო მიეღწიათ შეხედულებათა უფრო ნათელი გაგებისათვის, ხელი შეეწყოთ მშვიდობის შენარჩუნებისათვის როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით. ამ მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ მიუხედავად სოციალური სისტემების სხვადასხვაობისა, ქვეყნებს, რომლებსაც მშვიდობა სურთ, შეუძლიათ წარმატებით ითანამშრომლონ, თუ ორივე მხარე დაინტერესებულია ამ თანამშრომლობით და მზად არიან გამოიჩინონ კეთილი ნება.

დელის მოლაპარაკების მონაწილეებმა დასახეს ის პრინციპები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ეს პრინციპები შედგება შემდეგი ხუთი დებულებისაგან: **ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა; თავდაუსხმელობა; ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; თანასწორობა და ურთიერთსაგებლობა; მშვიდობიანი თანაარსებობა.** ეჭვი არ არის, რომ ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპების მიღებას როგორც აზიის ქვეყნებში, ისე სხვა ქვეყნებში შეუძლია შეამციროს ომის საფრთხე, შეანელოს დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში და გაუმჯობესოს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა. ამ დებულებებს მთლიანად უჭერენ მხარს აზიის სხვა ქვეყნებიც. თავიანთ ერთობლივ განცხადებაში ჯოუ ენ-ლაი და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ეხებიან რა პრინციპებს, რომლებიც ჩინეთსა და ინდოეთს შორის შეთანხმებით საფუძვლად დაედო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ეს პრინციპები ხელმძღვანელი პრინციპები უნდა იყოს აგრეთვე ჩინეთისა და ბირმის ურთიერთობისათვის. თუ ამ პრინციპებს ყველა ქვეყანა დაიცავს, სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა უზრუნველყოფილი იქნება, ხოლო აგრესიის საფრთხე და საშიშროება და საშინაო საქმეებში ჩარევა ადგილს დაუთმობს უშიშროებისა და ურთიერთნდობის გრძნობას“.

მსოფლიოში არის არა მარტო სხვადასხვა სოციალური სისტემების, არამედ აგრეთვე განვითარების სხვადასხვა დონის მქონე, დიდი და პატარა, ძლიერი და სუსტი ქვეყნები. მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება და კიდევაც უნდა უზრუნველყოფილ იქნას ყოველი მათგანის სუვერენიტეტის უსასტიკესი დაცვის საფუძველზე.

კომუნიკეში ჯოუ ენ-ლაისა და ნერუს მოლაპარაკების შესახებ ხაზგასმულია ინდოჩინეთის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების დიდი მნიშვნელობა. აღნიშნავენ რა ჟენევის თათბირზე მიღწეულ ერთგვარ პროგრესს, პრემიერ-მინისტრები გამოთქვამენ გულწრფელ იმედს, რომ უახლოეს მომავალში ამ ღონისძიებებს წარმატება მოჰყვება და მათი შედეგი იქნება ამ რაიონის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგება. შემდეგ ისინი გამოთქვამენ იმედს, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც კომუნიკეშია ჩამოყალიბებული, გამოყენებულ იქნება ინდოჩინეთის პრობლემების გადასაწყვეტად, სადაც „**პოლიტიკური მოწესრიგების** (ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — **რედ.**) მიზანი უნდა იყოს თავისუფალი, დემოკრატიული, გაერთიანებული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, რომლებიც არ უნდა გამოიყენონ აგრესიული მიზნებისათვის ან უცხოეთის ჩარევის ობიექტებად“.

ამ ავტორიტეტიან განცხადებას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ გარკვეული წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებით, ყოველნაირად ცდილობენ გავლენა მოახდინონ ჟენევის მოლაპარაკებაზე, რათა პოლიტიკური მოწესრიგება გადადონ გაურკვეველი ვადით და დასჯერდნენ მხოლოდ შეთანხმებას ხაომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ჟენევის თათბირის წინაშე მდგომი ინდოჩინეთის საკითხის მხოლოდ პოლიტიკურ მოწესრიგებას შეუძლია უზრუნველყოს ნამდვილი მშვიდობა აზიის ამ რაიონში. საბჭოთა დელეგაცია მუდამ აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოჩინეთის პოლიტიკური საკითხების განხილვას, რადგან მტკიცე და საიმედო მშვიდობის დამყარება შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას, თუ არ არის შესაბამისი შეთანხმება ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე.

თუ მოლაპარაკების ყველა მონაწილეს სურს არა სიტყვით, არამედ საქმით აღდგინოს მტკიცე მშვიდობა ინდოჩინეთში და ამით შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა და შექმნას სხვა პრობლემების მოწესრიგების პირობები, მაშინ ინდოჩინეთში საჭიროა გადაიჭრას არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე პოლიტიკური პრობლემები. უამისოდ შეუძლებელია ინდოჩინეთის საკითხის მოწესრიგება.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება უურადღება არ მიექცეს ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგიერთი ქვეყანა არათუ არ იჩენს დაინტერესებას ინდოჩინეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებით, არამედ, პირიქით, ჯერ კიდევ ხელი არ აუღია ომის გაფართოების გეგმებზე. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ჟენევის მოლაპარაკების დროს მოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა წარმომადგენლების ვაშინგტონის სეპარატული თათბირი. ამერიკის დიპლომატია კვლავ და კვლავ ცდილობს უზრუნველყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიული პაქტის შექმნა. ამავე დროს არის ცდები აიძულონ საფრანგეთი უფრო „მკაცრი“ პოზიცია დაიკავოს ჟენევაში და ამით ხელი შეუშალოს ინდოჩინეთის საკითხის მოწესრიგებას.

ამრიგად, ვაშინგტონის თათბირზე ამერიკის დიპლომატია განაგრძობდა აზიასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების გეზს. ეს მოქმედება მკვეთრად უპირდაპირდება დელში მიღებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია აზიაში მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. განსხვავებას დელისა და ვაშინგტონის მოლაპარაკების მიმართულებაში ყველა ხედავს, და საზოგადოებრიობა აქედან სწორ დასკვნებს გამოიტანს.

პრესის ბევრი ორგანო, და უწინარეს ყოვლისა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების პრესა, გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ცდას გადაჭრან აზიის საკითხები აზიის ქვეყნების მონაწილეობის მიუღებლად. მაგალითად, ინდონეზიის გაზეთი „სინ პო“ 29 ივნისის ნომერში წერდა, რომ „სამუდამოდ გაქრა ის დრო, როცა აზიის პრობლემებს ვიღაც წყვეტდა თვით აზიელთა მონაწილეობის მიუღებლად. აზიის ქვეყნებს სურთ მშვიდობა, აყვავება და პროგრესი კულტურის დარგში და მთელ ცხოვრებაში“.

ჯოუ ენ-ლაისა და ნერუს მოლაპარაკება დელში წარმოებდა მშვიდობის ინტერესებისათვის. სწორედ ამიტომ აზიის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა მიესალმება ამ შეხვედრის შედეგებს. მას სწამს, რომ ეს მოლაპარაკება ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

„პრავდის“ 1-VII მოწინავე.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები კრემლში

30 ივნისს კრემლის დიდ დარბაზში გაიმართა მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კრება. კრემლში შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები, პროფესორები და მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები, სოფლის მეურნეობის და უმაღლესი განათლების სამინისტროების წარმომადგენლები — სულ ორი ათასზე მეტი კაცი.

დღის 4 საათზე კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა კრება. თავმჯდომარე — საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტის მდივანი მ. ი. ხალდეევი სიტყვას აძლევს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ნ. შელეპინს.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამბ. შელეპინი ულოცავს ჰაბუკებსა და ქალიშვილებს უმაღლესი სკოლის დამთავრებას, საბჭოთა სპეციალისტის საპატიო წოდების მიღებას. ის ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა წელს სასწავლებლებიდან მიიღებს 18 ათას სპეციალისტს, რომლებიც მიდიან სამუშაოზე სოფლად. იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა დასახეს, საპატიო და პასუხსაგები როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

დასასრულ ორატორმა რწმენა გამოთქვა, რომ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები გაამართლებენ პარტიისა და მთავრობის ნდობას, ჩადგებიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

შეკრებილი სიტყვით მიმართა უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა. მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დღევანდელ დღესასწაულში, თქვა მან, ჩვენ ერთხელ კიდევ ვხედავთ იმ მუდმივი, განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების გამოვლინებას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ახალგაზრდობისადმი, ჩვენი საბჭოთა სტუდენტობისადმი იჩენენ. საბჭოთა კავშირის ყველა სახეობის სკოლაში ამჟამად სწავლობს 60 მილიონამდე კაცი, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში — მილიონნახევარზე მეტი. მარტო მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებიდან სოფლის მეურნეობა მიიღებს ორი ათასზე მეტ აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ინჟინერ-მექანიზატორს. ბევრმა გამოთქვა სურვილი წავიდეს უმნიშვნელოვანეს უბნებზე. 250-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებმაც დამთავრეს მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, მიდის ყაზახეთსა და ალტაის მხარეში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ორატორმა მოუწოდა კურსდამთავრებულებს განუწყვეტლივ აუმჯობესონ თავიანთი ცოდნა, არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, შეისწავლონ ტები გაამართლებენ პარტიისა და მთავრობის ნდობას, ჩადგებიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

შეკრებილი სიტყვით მიმართა უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა. მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დღევანდელ დღესასწაულში, თქვა მან, ჩვენ ერთხელ კიდევ ვხედავთ იმ მუდმივი, განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების გამოვლინებას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ახალგაზრდობისადმი, ჩვენი საბჭოთა სტუდენტობისადმი იჩენენ. საბჭოთა კავშირის ყველა სახეობის სკოლაში ამჟამად სწავლობს 60 მილიონამდე კაცი, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში — მილიონნახევარზე მეტი. მარტო მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებიდან სოფლის მეურნეობა მიიღებს ორი ათასზე მეტ აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ინჟინერ-მექანიზატორს. ბევრმა გამოთქვა სურვილი წავიდეს უმნიშვნელოვანეს უბნებზე. 250-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებმაც დამთავრეს მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, მიდის ყაზახეთსა და ალტაის მხარეში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ორატორმა მოუწოდა კურსდამთავრებულებს განუწყვეტლივ აუმჯობესონ თავიანთი ცოდნა, არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, შეისწავლონ

წერილი

მოსკოვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კრების მონაწილეთაგან

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ყველა კურსდამთავრებულისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ მივიმგზავრებით სამუშაოდ სოფლად, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლის წინა ხაზზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, შეაჯამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები, განსაზღვრა სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყველაზე საარსებო და გადაუდებელი ამოცანები. ჩვენს წინაშეა ნათელი საბრძოლო პროგრამა დიადი საქმეებისა, რომლებშიც ჩვენ მხურვალე მონაწილეობა უნდა მივიღოთ.

პარტიის მოწოდებით ათეულ ათასობით აგრონომი, ინჟინერი, ზოოტექნიკოსი დაძაბულ ბრძოლას ეწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ჩვენ სპეციალისტთა ამ მრავალრიცხოვანი არმიის ახალი რაზმი, ახალი შევსება ვართ. ჩვენ ბევრი მოგვეცა, ჩვენგან ბევრს მოელიან პარტია და ხალხი და შეგებული გვაქვს, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება.

ჩვენ ხვალ გავალთ არა ინსტიტუტის სასწავლო ნაკვეთზე, არამედ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვალუწვდენ მინდვრებში; ჩვენი ახალი დღე დაიწყება არა ნაცნობ ლაბორატორიაში, არამედ მანქანა-ტრაქტორთა საადგურების სახელოსნოებში, საველე ბანაკებში, მეცხოველეობის ფერმებში, საკოლმეურნეო ბაღ-ბოსტნებში. იქ, უშუალოდ წარმოებაში, გამოვიყენებთ ცოდნას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ მოგვცა — ეს არის ჩვენი სასიცოცხლო, წმიდა მოვალეობა ხალხის წინაშე.

მუშაობაში ბევრ სიძნელეს წავაწყდებით, მაგრამ ეს სიძნელეები ვერ შეგვაშინებენ. ჩვენ მტკიცედ და ენერგიულად დავძლევთ ყოველ სიძნელეს. სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთან ერთად ვიბრძოლებთ უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მაღალი კრემლიდან, სადაც დღეს შეკრებილნი ვართ სტუდენტთა ამ ღირსსახსოვარ შეხვედრაზე, ჩვენ რწმენით შევეფარენ მომავალს. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ამ სასახლის დარბაზებიდან დედაქალაქმა შორს გაისტუმრა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად ლენინური კომკავშირის წარმომადგენლები. რაღაც ახარებს ყველა საბჭოთა ადამიანს სასიამოვნო ამბები მათ პირველ წარმატებათა შესახებ!

მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების ორი ათასი კურსდამთავრებულის სახელით მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს:

კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში წავიდეთ, ამხანაგო აგრონომებო! ნუ დავკარგავთ დროს; ჩავებათ ამა წლის უხვი მოსავლისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში!

მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საველოსნოებსა და სატრაქტორო ბრიგადებში, — ამხანაგო ინჟინერებო! ძალღონის დაუზოგავად ვიბრძოლოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდისათვის, ვიბრძოლოთ ტრაქტორების, კომბაინების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სრული გამოყენებისათვის!

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში, — ამხანაგო ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარო ექიმებო! შეუპოვრად ვიბრძოლოთ პირუტყვის საკვებით სრული უზრუნველყოფისათვის, სულადობის შენარჩუნებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას მეტი ხორცი, რძე, ერბო-კარაქი, მატყლი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები მივცეთ!

განვამტკიცოთ მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი, შევისწავლოთ და ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე მეურნეობათა, კოლმეურნეთა გამოცდილება, ვებრძოლოთ ნაკლოვანებებს, გზა გავუხსნათ ყოველივე ახალსა და პროგრესულს!

ჩვენ როდი ვეთხოვებით ჩვენს საყვარელ მოსკოვს. აქ მივიღეთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტის დიპლომი, ვოცნებობთ აქვე მოვიდეთ კვლავ, რათა ღირსეულად მივიღოთ ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი კიდევ ერთი დიპლომი — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის დიპლომი.

გულითადად მადლობა პარტიასა და მთავრობას, რომ მათ გადაგვშალეს აქტიური მოღვაწეობის ასეთი ფართო ასპარეზი, რომ ასე მაღლა აიყვანეს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტის წოდება!

პირობას ვიძლევით, რომ პირნათლად შევასრულებთ პარტიის, მთავრობის, ხალხის ნდობას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენის ერთ-ერთ ხეივანში.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა

1 ივლისს საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობა განაგრძობდა მუშაობას.

დილის სხდომაზე მოისმინეს მოხსენებანი: გ. ჯიბლაძისა „ქართული საბჭოთა პროზა“, კ. კალაძისა — „ქართული საბჭოთა პოეზია“, ბ. ჟღენტისა — „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, გ. ნატროშვილისა — „კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა“, გ. აბაშიძისა — „ქართული საბავშვო ლიტერატურა“, შ. აფხაიძისა — „თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა“. (საკდესი).

* * *

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის საღამოს სხდომამ მოისმინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: კრიტიკოსმა გ. ქიქოძემ, პოეტმა ა. მირცხულავამ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილების მდივანმა ბ. შინკუბამ, დრამატურგმა ვ. გაბისკირიამ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობას მიესალმნენ: უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მ. შუმილო, უზბეკეთის მწერალთა სახელით პოეტი აკადემიკოსი გაფურ გულიამი, ბელორუსიის მწერალთა სახელით ა. ოსტროვიკო, აზერბაიჯანის მწერალთა სახელით სულეიმან რაგიმოვი.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა

30 ივნისს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი ცენტროსოიუზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილენი უმთავრესად ლაპარაკობდნენ სოფლის მოსახლეობიდან სავაჭრო მომსახურების სეგიროზულ ნაკლოვანებებზე. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის ინტელიგენცია სულ უფრო მეტად მოითხოვენ საწარმოო დანიშნულებისა და პირადი მოხმარების მაღალი ხარისხის საქონელს. მაგრამ კოოპერაცია ბევრგან ზმირად ვერ აკმაყოფილებს მათ.

ცენტროსოიუზის აპარატისა და მისი სამმართველოების მუშაობა მკვეთრად გააკრიტიკეს საქონლის რესურსების განაწილებაში დაშვებული შეცდომებისათვის, სავაჭრო ქსელში საქონლის შეტანის არადამაკმაყოფილებელი მოწყობისათვის და განსაკუთრებით იმისათვის, რომ დღემდე არ აღმოფხვრილა ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ნ. ტ. აფონინის მოხსენება.

ყრილობაზე გამოვიდნენ უცხოეთის ქვეყნების კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ყრილობაზე წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშა, რომელიც მოვიდა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის პრეზიდენტის გ. ბილისაგან. (საკდესი).

პიატიგორსკის კურორტის რეკონსტრუქცია

პიატიგორსკი. (საკდესი). ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ჩამოდიან აქ მშრომელები ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და დასასვენებლად. აქ არის სამკურნალო გოგირდის, რადიაქტიური წყლები, ძლიერ მოქმედი ტალახები. ახლა ზაფხულის სეზონი გაჩაღებულია — კურორტზე ისვენებს რამდენიმე ათასი კაცი.

აქ დაიწყო პანსიონატის მშენებლობა. პანსიონატში მოეწყობა პალატები თვითეული ორი დამსვენებლისათვის, სამკურნალო და საპროცედურო კაბინეტები. რეკონსტრუირებულ იქნება სანატორიუმები და წყაროები.

სოჭის საკოლმეურნეო ბაზარში

სოჭი. (საკდესი). დღითიდღე აქაურ საკოლმეურნეო ბაზარში ძლიერდება ახალი მოსავლის ხილისა და ბოსტნეულის შემოზიდვა. კრასნოდარის მხარისა და საქართველოს კოლმეურნეებს შემოაქვთ საადრეო

პარტიული ცხოვრება

ერთი საკოლმეურნეო ორგანიზაციის პარტიული ჯგუფები

პარტიულ ჯგუფებს სერიოზული როლი აკისრიათ საკოლმეურნეო ცხოვრებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა წარმატებით განხორციელებაში. იქ, სადაც პარტიული ჯგუფები შემოქმედებით ინიციატივას იჩენენ, მაღალია მათი წევრების ავანგარდული როლი, სამეურნეო შედეგებიც კარგია. ამ მხრივ აღსანიშნავია პატარა ფოთის კოლმეურნეობაში არსებული პარტიული ჯგუფების მუშაობა.

ამ კოლმეურნეობაში 6 პარტიული ჯგუფია. № 2 ბრიგადაში შექმნილ პარტიულ ჯგუფს გ. ბართაია ხელმძღვანელობს. მიმდინარე წლის 4 თებერვალს პარტიულმა ჯგუფმა განიხილა მუშა-პირუტყვის მოვლის საკითხი. გამოირკვა, რომ მომვლელი ბ. წულაია მუშა-პირუტყვს წესიერად არ უვლდა. კრებამ კომუნისტ ვ. სილაგავას დაავალა თვალყური ედევნებინა ბრიგადაში მუშა-პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის. ასეთი კონტროლის დაწესებამ კარგი შედეგი გამოიღო.

პარტიული ჯგუფის წევრები ხშირად მსჯელობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაზე, შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე, სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შესრულებაზე, ავლენენ ნაკლოვანებებს და იღებენ ზომებს მათი გამოსწორებისათვის.

პარტიულმა ჯგუფმა შეისწავლა და პარტბიუროს წინაშე დააყენა კოლმეურნეების ს. კუკაჭიას, ბ. წულაიას და გრ. ხუციჩიძის საკითხი, რომლებმაც საკოლმეურნეო შრომას თავი აარიდეს და ქალაქად წავიდნენ. მიღებული ზომების შედეგად ისინი კოლმეურნეობას დაუბრუნდნენ და ამჟამად კარგ კოლმეურნეებად ითვლებიან.

კოლმეურნეობაში წინათ ყურადღება არ ექცეოდა მებოსტნეობის განვითარებას. ცუდად მუშაობდა მებოსტნეობის მეშვიდე ბრიგადა. ამ ბოლო დროს მებოსტნეობის განვითარებისათვის ბრძოლის სათავეში ჩაუდგა ბრიგადაში შექმნილი პარტიული ჯგუფი და მდგომარეობაც გაუმჯობესდა.

№ 1 ბრიგადის ყველა კომუნისტს შესაძლებლობისა და სურვილის მიხედვით მიცემული აქვს პარტიული დავალება, რომლის განხორციელებაში მათ საქმიან დახმარებას უწევს პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი შ. ფუტკარაია. კომუნისტები დ. წულაია, ს. ჭეჟია, ვ. წულაია აგიტატორები არიან. ისინი საუბრებს ცოცხლად, საინტერესოდ აწყობენ, მოხერხებულად უკავშირებენ ადგილობრივ საბრძოლო ამოცანებს.

პატარა ფოთის კოლმეურნეობის პარტიული ჯგუფები დიდ როლს ასრულებენ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობაში.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისი. მინანქრიანი ჭურჭლის ქარხანაში აითვისეს კერძსაკარებელი კომბინირებული ქვაბების და მთელი რიგი ახალი ასორტიმენტის საოჯახო ჭურჭლის წარმოება. **სურათზე:** მინანქრიანი ჯამების ხარისხის შემოწმება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კულტურული მომსახურება მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს

სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი კულტურულ მომსახურებას უწევს საქართველოს მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს. თითქმის ყველა მტს-ში მოწყობილია წითელი კუთხეები, სადაც მექანიზატორებს შეუძლიათ კულტურულად დაისვენონ და გართონ.

წელს წითელი კუთხეების მოსაწყობად დახარჯა 60.839 მანეთი. წითელი კუთხეების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი წელს 51.200 მანეთის ლიტერატურით შეივსო.

იზრდება კლუბებისა და ბიბლიოთეკების რაოდენობა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში. ახალი კლუბები შენდება ოჩხამურის, გაგრისა და გარდაბნის საბჭოთა მეურნეობებში.

დიდ მომსახურებას უწევს მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს პროფმომსახურების აგიტმანქანა. უკანასკნელ თვეებში აგიტმანქანა მოეგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს მტს-ებს, სადაც კვალიფიციურმა ლექტორებმა წაიკითხეს ლექციები მარცვლეული კულტურების, მეხილეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, კვლევატულ-ბუდობრივი თესვის და შრომის ორგანიზაციის საკითხებზე. აგიტმანქანა აწყობს როგორც მხატვრული, ისე სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ფილმების დემონსტრაციას.

იშვიათი შემთხვევა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო ჩიბათის კოლმეურნეობის წევრს კალისტე ჯორბენაძეს ჰყავს 6 წლის ძროხა, რომელიც დღეში 10-12 ლიტრ რძეს იწველის. წელს 3 ივნისს ამ ძროხამ ერთად მოიგო 3 ხბო. სამივე საფურეა, თვითეული იწონის 13 კილოგრამს და სამივე ერთნაირი ფერისაა.

ამჟამად ხბოები ჯანსრთელად არიან და ნორმალურად იკვებებიან. ეს ზოოტექნიკაში იშვიათი შემთხვევაა.

უ. შეფირული,
ს. ჯოჯრბენაძე.

ნეკრილები ჩრდილოეთ კავკასიიდან

1. თივის აღების დაძაბულ დღეებში

ნოღაის ველის თვალუწვდენელ სივრცეებზე — ჩორნი რინოკიდან ბაჯიგანამდე, კუმის ნაპირებსა და ბირუზიავზე, ყველგან, სადაც კი ჩვენი რესპუბლიკის ცხვარი იზამთრებს, შემოქმედებითი შრომის დაძაბული დღეები დგას. მიმდინარეობს თივის აღება, შეგროვება და ბინებთან მიტანა. როგორც ჩანს, მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათანადო დასკვნა გაუკეთებიათ გასული წლის მწარე გამოცდილებიდან და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ მომავალ ზამთარს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია დუშეთის რაიონის სოფელ ხორხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც დროზე გამოგზავნა აქ საკვებმოპოვების ბრიგადა. ამ ბრიგადას ზოოტექნიკოსი ც. კაკალაშვილი ხელმძღვანელობს. კოლმეურნეებმა მექანიზატორების ს. პოპოვის, კ. არჩუაძის და სხვების დახმარებით 250 ჰექტარის ნაცვლად 364 ჰექტარი გათიბეს და საკმაო რაოდენობით დაზვინეს ნოყიერი თივა ბინებთან. თივის აღებაზე კარგად მუშაობენ ავრეთვე ამავე რაიონის სონდისველის, გუდამაყრის, მლეთისა და დუშეთის კოლმეურნეობები.

ქართველმა მეცხვარეებმა წელს აქ 378 ათას ცენტნერზე მეტი თივა უნდა შეაგროვონ. თუ მხედველობაში მივიღებთ არსებულ მაჩვენებლებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ თიბვის ახლანდელი ტემპი აშკარად არადამკმაყოფილებელია. არის კოლმეურნეობები, რომლებსაც ჯერ არც ერთი ცენტნერი თივა არ დაუმზადებიათ. ასეთებია ცდოს (ყაზბეგის რაიონი), ხადის, ხანდოს და ნოჯის (დუშეთის რაიონი) კოლმეურნეობები. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან თუ თიბვა არ დაჩქარდა, საძოვრების ზოგიერთ უბანში მოსალოდნელია ბალახი გადაიწვას, და თუ ეს ასე მოხდა, პიროტუყვის კამოზამთრება აშკარა საფრთხეში აღმოჩნდება.

ფერმები მთელი დატვირთვით არ იყენებენ არსებულ ტექნიკას. ვხვდებით ტრაქტორებისა და იარაღ-მანქანების ხშირ მოცდენას.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში უგულებელყოფენ მარტივი სათიბი იარაღების გამოყენებას. მაქართის (დუშეთის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯერაც არ აუწყვიათ ცხენის ორი სათიბი მანქანა. ეს იმ დროს, როცა თივის აღება ჩამორჩება. ნოღაის ველზე არის უბნები, სადაც ტრაქტორები და თვითმავალი სათიბი მანქანები ვერ მიუდგება. ასეთ ადგილებში კოლმეურნეებს შეუძლიათ დიდძალი თივა დაამზადონ მარტივი სათიბებით, ცელებით, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ კოლმეურნეობას საკმარისი მუშახელისა და ცხენების გამოგზავნაზე ჯერ არ უზრუნია.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, თივის აღება დამთავრებულად მაშინ ჩაითვლება, როცა ის უშუალოდ ცხვრის სადგომ ბინებთან იქნება მიტანილი. ზოგიერთი ფერმის ხელმძღვანელი ამას ანგარიშს როდი უწევს. ბევრგან აღებული თივის ბინებთან მიტანას, დაბულულებას და დაკვას ყურადღება არ ექცევა.

მომთაბარე მეცხვარეობის რაიონებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის. თივის აღება სეზონური საქმეა, და მას დაცდა არ უყვარს. მით უმეტეს, რომ ნოღაის ველზე ცხელი ამინდი დადგა. აღმოსავლეთიდან წამოსულ ქარს გავარვარებული მტვერი მოაქვს, თანდათანობით ნაცრისფერი ედება მიდამოს. მოსალოდნელია ბალახის გადაწვა. ამიტომ საჭიროა თვითეული დღის, თვითეული საათის ნაყოფიერად გამოყენება.

2. მეცხოველეობის სამანქანო სადგურის ავკარგი

საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში საძოვრების ცენტრში — ჩორნი რინოკში მდებარეობს, გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მას აქვს მშვენივრად მოწყობილი სახელოსნო, დიდძალი ტექნიკა. გადატიტვლებული მინდვრების ფონზე სადგურის ამწვანებული კარმიდამო ოაზისს მოგაგონებთ. მაგრამ გარეგნობა, როგორც ცნობილია, მთავარი არ არის, საქმე ის არის, როგორ ასრულებენ მექანიზატორები დაკისრებულ მოვალეობას.

პირდაპირ ვიტყვით, მეცხოველეობის სამანქანო სადგური მოუმზადებელი შეხვდა თივის აღებას. მექანიზატორებმა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაო მთლიანად რომ შეასრულონ, დამატებით დასჭირდებათ 10 ტრაქტორისა და 40 სათიბის გამოყოფა.

აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასწრაფოდ გამოუყოს ამ სადგურს აღნიშნული მანქანები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს დავალების დროზე და ხარისხოვნად შესრულებას. ამასთან ერთად საჭიროა ჩორნი რინოკში დამატებით გაიგზავნოს 20 ტრაქტორისტი მაინც.

საერთოდ სადგურს ესაჭიროება ქმედითი დახმარება. მთავარი ის არის, რომ სადგურს საკმარისი კადრები არა ჰყავს. 36 ტრაქტორისტიდან აქ მუდმივად მხოლოდ 7 კაცი მუშაობს, არა ჰყავთ სახელოსნოს გამგე, იარაღ-მანქანების ინჟინერი, კონტროლიორ-მექანიკოსი, ზოოტექნიკოსი და სხვ.

— მრავალჯერ მივმართეთ თხოვნით სამინისტროს, მაგრამ მოძრავ სახელოსნოს და რადიოტელეფონებს მაინც არ გვაძლევენ, — თქვა მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დირექტორმა ამხ. ირ. ქავთარაძემ.

ამიტომ არის, რომ პატარა ნაწილის გატეხისასაც კი ტრაქტორისტები იძულებული არიან ათეული კილომეტრი ფეხით ან მანქანით გაიარონ მთავარ სახელოსნომდე და უკან. ეს იწვევს იარაღ-მანქანების ხშირ მოცდენას. აღსანიშნავია, რომ დირექცია იმასაც არ აკეთებს, რაც გაკეთებაც შეიძლება. მაგალითად, გაბა არ მეილებოდა სხვადასხვა ეპიზოდში მოგვეყანა ბატარა სახელოსნოები, — სადაც ტრაქტორისტებს შესაძლებლობა ექნებოდათ ჩაეტარებინათ იარაღ-მანქანების მარტივი რემონტი? რა თქმა უნდა, ამის გაკეთება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

კადრების უყოლობის გამო თიბვის ამ დაძაბულ დღეებში სადგურის 9 თვითმავალი აგრეგატი გაჩერებულია. ასე იყო გასულ წელსაც. ჩანს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველო (უფროსი ამხ. მ. ალავერდაშვილი) არაყონკრეტულად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის საღგურს ჩრდილოეთ კავკასიაში.

საძოვრების მთელ მასივზე აწეული ადამიანი შრომობს, მაგრამ მათთან არავინ არ მუშაობს, მივიწყებულია მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა. ტრაქტორისტმა დ. ქაოძემ გულისტკივილით განაცხადა:

— ერთი თვეა, რაც ალვნის მტს-იდან ჩამოვედი, მაგრამ აქ გაზეთი არ მინახავს, რადიო არ მომისმენია...

ამაში დამნაშავენი არიან რაიონების ხელმძღვანელი ორგანოები და კოლმეურნეობათა გამგეობები, რომლებიც მწყემსთა კულტურულ მომსახურებას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან. ასევე უგულებელყოფენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ სამანქანო სადგურს არა ჰყავს პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ერთი წლის წინათ პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. თუჯიშვილი სასწავლად წავიდა, მის ადგილას კი ჯერ არავინ მუშაობს.

მიმდინარე წლის მარტში დამთავრდა სადგურის მთლიანი ელექტროფიკაციის სამუშაოები. როგორც წესი, შესრულებული საქმე სპეციალურმა კომისიამ უნდა ჩაიბაროს. აღმაშფოთებელია, რომ მიუხედავად ამხ. ქავთარაძის მრავალი თხოვნისა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერაც არ გამოუყვია აღნიშნული კომისია, რის გამო შეუწყნარებლად ჭიანურდება დენის ჩართვა.

შესაფერისი კადრებით უზრუნველყოფის საქმეში მეცხოველეობის სამანქანო სადგურისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მომთაბარე რაიონების მტს-ებს, ამასთან საჭირო იქნება მუდმივ სამუშაოზე ჩამოსული მექანიზატორებისათვის აშენდეს ორი სახლი, შეიქმნას ყველა პირობა, რათა თვითეული მექანიზატორი თავს გრძნობდეს ისეთ პირობებში, როგორიც მშობლიურ მტს-ში ჰქონდა.

საკოლმეურნეო ფერმების თივით უზრუნველყოფაში მეცხოველეობის სამანქანო სადგურს გადამწყვეტი როლი ენიჭება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში მეცხოველეობის სამანქანო სადგური მუშაობდეს ისე, როგორც ამას მოითხოვს მეცხოველეობის განვითარების მძლავრი აღმავლობის დიადი პროგრამა, რაც მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა.

ა. თოდაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

პარტიული ორგანიზაცია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში არაერთხელ ისახელა თავი ხაშურის საელმავლო დეპოს შრომისმყვარე კოლექტივმა. მან რამდენჯერმე დაიმსახურა საკავშირო ჯილდოები, მიიღო ფულადი პრემიები. დეპოში კიდევ უფრო თავდადებული შრომაა გაჩაღებული ახლა. მეელმავლეებმა მიმდინარე წლის გაგლილ ხუთ თვეში 311 ძძიმე წონის მატარებელი გაატარეს და გეგმის გადამეტებით 86 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, მინიმუმამდე შეამცირეს ავარიებისა და წუნის შემთხვევები.

წარმოების ავანგარდში დგანან კომუნისტები, რომელთა რიცხვი აქ 230-ზე მეტია. კომუნისტების შემოქმედებითმა შრომას უნარიანად ხელმძღვანელობს პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი გ. ნოზაძე). პარტბიუროო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტექნიკური პროცესების გაუმჯობესებას, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას, მოწინავე სპეციალისტთა გამოცდილების განზოგადებას. ამ საქმეში იგი უნარიანად იყენებს პარტიული მუშაობის ყველა საშუალებას: პარტიული კრებებს, სააგიტაციო მუშაობის ფორმებს და სხვ. პარტიული ორგანიზაცია დიდად ზრუნავს მუშათა რაციონალიზატორული წინადადებების განსახორციელებლად.

მოწინავე მემანქანის ე. ხაჩიძის წინადადების განხორციელებით დეპომ დაიჩქარა მიმწოლი ელმავლების ბრუნვა სურამის რთული პროფილის უღელტეხილზე. პერიოდული საამქროს ოსტატმა გ. მაჩხანელმა გაუმჯობესა მოტორვაგონის სექციაზე ელექტროლუმელების მოწყობილობა და გააღიდა მისი თბოუნარიანობა და სხვ.

პარტბიუროს ინიციატივით მოეწყო კარგი ტექნიკური კაბინეტი, სადაც მრავლად არის წარმოდგენილი მანქანათა ნაწილების ჭრილები, ავტომუხრუჭების ექსპონატები, ტექნიკური ნახაზები, ელექტრობის სქემები, სალოკომოტივო სიგნალიზაცია და ა. შ. აქვეა ტექნიკური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა. წელს ტექნიკურ კაბინეტში ორჯერ გაიმართა რაციონალიზატორების და გამომგონებლების შეჯრება, 18-ჯერ მოეწყო ტექნიკური ხასიათის ლექციი და 32-ჯერ — კინოსულტაცია. ლექციები მოეწყო ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის: „ხუთასოვანთა მოძრაობა“, „გოგორწყვილების გასინჯვის ახალი ტექნოლოგია“, „როგორ ავიცილოთ მუშაობაში წუნი და ავარია“ და სხვ.

პარტიული ორგანიზაციის დადგენილებით დეპოს კედლის გაზეთი „ელმავალი“ ამა წლის 31 მაისიდან ყოველდღიურ ორგანად გადაკეთდა. მის გარშემო შემოკრებილია 80 მუშკორი. გაზეთი ფართოდ აშუქებს თავის ფურცლებზე მოწინავეთა შრომის ახალ მეთოდებს, ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკით ხელს უწყობს მოღწეულების გამრავლებას.

დეპოს პარტიული ორგანიზაცია მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს. საჭიროა შემდეგშიც სერიოზული ყურადღება მიექცეს ტექნიკური პროცესების გაუმჯობესებას, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგების გამრავლებას.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის უმნიშვნელოვანესი პირობაა

გენიალური ლენინი და მისი საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირში ხედავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს. ეს კავშირი წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც სპობს ყოველგვარ ექსპლოატაციას და აშენებს ახალ სოციალისტურ, კომუნისტურ საზოგადოებას.

ვ. ი. ლენინმა გაანადგურა ოპორტუნისტული დებულებანი მენშევიკებისა და II ინტერნაციონალიდან მათი თანამოაზრეებისა, რომლებიც ცდილობდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი შეეცვალათ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კავშირის კონტრრევოლუციური იდეით, და გვიჩვენა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი წარმოადგენს იმ მთავარ საშუალებას, რომლითაც რევოლუციური მარქსისტული პარტია მიაღწევს ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დამხობას, სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინურმა დებულებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებში და პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში.

* * *

ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებზე დაყრდნობით კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადი პროგრამა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ამან შესაძლებლობა მისცა პარტიას თანმიმდევრულად განახორციელებინა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცების პირობებში იქმნებოდა საკოლმეურნეო წყობილება. მარტო მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ყრილობებს შორის დაახლოებით 100 ათასმა მუშამ უშუალო მონაწილეობა მიიღო თესვისა და პურის დამზადების კამპანიაში. 1929-1930 წლებში სოფლად მუდმივ სამუშაოდ გაიგზავნა მუშათა კლასის 250 ათასი საუკეთესო წარმომადგენელი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისა და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეში. უფრო გვიან, 1933 წელს, მტს-ებში პოლიტგანყოფილებების შექმნასთან დაკავშირებით პარტიამ 17 ათასი პარტიული მუშაკი გაგზავნა კოლმეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად.

სოციალისტურმა მრეწველობამ უდიდესი დახმარება გაუწია კოლმეურნე გლეხობას სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების, გაუმჯობესებული თესლის, სასუქის და სხვ. მიწოდებით. ეს იყო ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დაპირისპირებულობის თანდათანობითი ლიკვიდაციის საქმეში.

მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში გადაჭრა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ამოცანა. კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში დამარცხებულ იქნა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი განვითარდა და განმტკიცდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. 1934 წლის დასაწყისში მრეწველობაში სოციალისტური სისტემის ხვედრითი წონა შეადგენდა 99 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის დარგში — 84,5 პროცენტს.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში საკანონმდებლო აქტით იქნა განმტკიცებული. 1936 წელს მიღებული სსრ კავშირის კონსტიტუცია ემყარება იმას, რომ საბჭოთა საზოგადოება შედგება ორი მეგობრული კლასისაგან — მუშებისა და გლეხებისაგან, რომელთა შორის ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთი კლასობრივი განსხვავება და რომ საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა შენარჩუნებულია მუშათა კლასის ხელმძღვანელობის პირობით. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს მუშებისა და გლეხების წარმოადგენლობა საბჭოებში. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1954 წელს არჩეულ იქნა მუშა—318, გლეხი — 220, ინტელიგენციის წარმომადგენელი — 546. ცნობილია, რომ საბჭოთა ინტელიგენცია გამოსულია მუშებისა და გლეხებისაგან და წარმოადგენს მშრომელი ხალხის განუყოფელ ნაწილს.

სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების იარაღებზე და საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება. მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის მეგობრულმა თანამშრომლობამ ყოველმხრივ განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან და უზრუნველყო საბჭოთა ხალხის გამარჯვება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში.

კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საფუძველზე ააშენა სოციალიზმი და ამავე საფუძველზე აშენებს კომუნიზმს. ურღვევია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს.

კომუნისტური პარტია ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, რათა წარმატებით გადავჭრათ პარტიის XIX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობას და დასახა ღონისძიებათა მთელი სისტემა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ უდიდეს ღონისძიებათა მიზანია უახლოეს 2-3 წელიწადში შეიქმნას სურსათის ჯერ საკმარისობა, ხოლო შემდეგ სიუხვე, რათა მკვეთრად გადიდდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა სახალხო მოხმარების საგნებით. ამ ამოცანების გადაწყვეტა კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის უმნიშვნელოვანეს პირობას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საქმეში მთავარი როლი ეკუთვნით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ყოველწლიურად ადიდებს კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა თანამედროვე იარაღ-მანქანების გამოშვებასა და მიწოდებას. მარტო 1953 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 139 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 18 ათასი სათოხნი ტრაქტორი, 41 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 69 ათასი სატვირთო ავტომობილი, 2 მილიონზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა იარაღ-მანქანები. 1954 წლიდან 1957 წლის 1 მაისამდე სოფლის მეურნეობა მიიღებს 500 ათას საერთო დანიშნულების ტრაქტორს (15-ძალიანზე გადაყვანით), 250 ათას სათოხნ ტრაქტორს, აგრეთვე მრავალ სასოფლო-სამეურნეო მანქანასა და ავტომობილს.

სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან დღემდე სოფლად სამუშაოდ გაიგზავნა 23 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი. ამას გარდა მტს-ებში მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნის მიზნით ჩარიცხულია დაახლოებით 1.250 ათასი მექანიზატორი. მარტო ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე ჩავიდა და აქტიურად ჩაება მუშაობაში 140 ათასზე მეტი კაცი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდი კადრები დღევანდელ ეტაპზე კიდევ უფრო ამაღლებენ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამჯერად გატარებული ღონისძიებანი იმას მოწმობენ, რომ სახელმწიფო მტს-ების საშუალებით ზემოქმედებას ახდენს საკოლმეურნეო წარმოების ხასიათზე და აძლიერებს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, რაც სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მეორე, კოლმეურნე გლეხობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია დაუღალავად იბრძვიან პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის და ამ ერთობლივ ბრძოლაში მტკიცდება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა უკვე მოახდინა დადებითი გავლენა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ სამუშაოთა შესრულებაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდინარე წლის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა ნაცვლად 2,3 მილიონი ჰექტარისა ფაქტიურად შესრულებულია 3,6 მილიონი ჰექტარით.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი მომავალში უფრო დაჩქარდება. ამის თავდებია პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, ნასვენი და ყამირი მიწების უდიდესი რეზერვებიათვისების ღონისძიებანი.

სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის შექმნილია ყველა მატერიალური პირობა და შესაძლებლობანი. მაგრამ ისინი თავისთავად არ მოგვცემენ ეფექტს. აღმავლობის მისაღწევად საჭიროა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესება, სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისაკენ მიმართულია მთელი ეკონომიური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელნიც ხელს უწყობენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცებას, ჩვენი სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებას.

პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო, არის და იქნება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისაკენ, რადგან თვით მთავრობის პოლიტიკის ძლიერება ამ კავშირს ემყარება. მაგრამ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება იმასთანვე კი არ გვესაჭიროება, რომ შევინარჩუნოთ კლასები, არამედ იმისათვის, რომ მოისპოს კლასობრივი განსხვავებანი, ხალხის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებას გზით მივაღწიოთ მუშებისა და გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გათანაბრებას, უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან კაპიტალისტურ ქვეყნებში ისევე უნდა დაძლიოს საზოგადოების მომაკვდავი ძალები და ააშენოს სოციალიზმი, როგორც ეს მოხდა საბჭოთა ქვეყანაში და როგორც ხდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც შეიძინა პარტიამ ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებაში, ეხმარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს იმაში, რომ წარმატებით წაიყვანონ გლეხთა მასები ახალი ცხოვრების გზით, ეხმარება კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს იმაში, რომ დაიცვან ქალაქისა და სოფლის ექსპლოატირებული მასების ინტერესები, მაღლა აწიონ დემოკრატიული თავისუფლებათა დროშა, მაღაღონ კაპიტალიზმზე გამარჯვება. ამაში მდგომარეობს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, როგორც საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცის უმნიშვნელოვანესი პირობის საერთაშორისო მნიშვნელობა.

**ვ. რეხვიაშვ

მივაწოდოთ მშენებლებს მაღალი ხარისხის სამშენი მასალა

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატი ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რესპუბლიკის სამშენებლო მასალათა საწარმოების შორის. იგი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

კომბინატმა საპროექტო საწარმოო სიმძლავრეს ჯერ კიდევ 1953 წელს გადააჭარბა. ჩაბარა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომბინატის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა ბიმდინარე წლის 5 თვის გეგმა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და რუსთაველის მშენებლებს გეგმის გადამეტებით მიაწოდა უმაღლესი ხარისხის 600 ათასი ცალი აგური და ათეულ ათასობით ცალი კრამიტი.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვა კომბინატის კოლექტივმა მაისში — პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა შესრულა 136,5 პროცენტით. საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, რომელიც სულ უფრო ფართო მასშტაბით იყენებს სტალინური პრემიის ლაურეატების კარტავცევის და დუკანოვის მეთოდებს, გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე მეტალურგთა ქალაქს გეგმის გადამეტებით მიაწოდოს 2 მილიონი ცალი აგური და 200 ათასი ცალ კრამიტი.

ა. კვარაცხელია,
ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატის მთავარი ინჟინერი.

კრივოიროგელი მგუარლავები ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. ვორ.). მოძმე უკრაინის სს რესპუბლიკიდან აქ ჩამოვიდა კრივოიროგელ გვირაბგამყვან მბურღავთა ბრიგადა, რომელსაც ბურღვის სახელგანოქმული ოსტატი ნ. სკრიაბინი ხელმძღვანელობს.

უკრაინელ მბურღავთა ბრიგადა, რომელიც ჭიათურაში რამდენიმე კვირას დარჩება, მაღაროებში დანერგავს მაღნის ფენების დრმა ბურღვის მეთოდით მუშაობას. ღრმა ბურღვა, როგორც ცნობილია, ქმნის მექანიზაციის ფართო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

კრივოიროგელი მბურღავები ამჟამად მუშაობენ ჭიათურაში ყველზე მეტად მექანიზებულ მაღაროში — ლენინის სახელობის მაღაროში. მათთან ერთად მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროს ბურღვის ოსტატი გ. თოდაძე. კრივოიროგელთა გამოცდილებას სხვა ჭიათურელი მბურღავებიც სწავლობენ. უკრაინელი და ქართველი მბურღავები დიდი ხალისით ეცნობიან ერთმანეთის გამოცდილებას.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

კორესპონდენტი ვ. დიაკონიშვილი გორიდან გვწერდა, რომ ქალაქის საავადმყოფოს რენტგენის აპარატი, რომელიც საავადმყოფოს ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ დატოვებულ იქნა ძველ შენობაში (სამშობიარო სახლში), კაპიტალური რემონტის დროს სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის ხირსელის თვითნებური განკარგულებით არასპეციალისტებმა დაშალეს და სარდაფში მოათავსეს, რის შედეგადაც აპარატი დაზიანდა და ნაწილები დაკარგა.

ამ კორესპონდენციასთან დაკავშირებით იმსჯელა გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს ამხ. ხირსელს რენტგენის აპარატის თვითნებურად დაშლისათვის გამოეცხადა საყვედური. აღმასკომმა საყვედური გამოუცხადა აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. დაფქიანაშვილს და საავადმყოფოს მთავარ ექიმს ამხ. ბიძინაშვილს იმის გამო, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს რენტგენის აპარატის სათანადოდ დაცვა.

აღმასკომის დადგენილებით რენტგენის აპარატი გადაეცა ბავშვთა საავადმყოფოს. მოღებულია ზომები მისი წესრიგში მოყვანისათვის.

დავაჩქაროთ სოფლის მეურნეობაში ავტომატიზაციისა და ელექტრომექანიზაციის დანერგვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის სამუშაოები. ამჟამად საქართველოში 192 სასოფლო საკოლმეურნეო ელექტროსადგური მუშაობს. მათ მიერ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 80 მილიონ კილოვატსაათს აღემატება.

სასოფლო და სახელმწიფო ელექტროსადგურების ენერგიის ბაზაზე რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულია 742 კოლმეურნეობა, 90 მტს-ი, 75 საბჭოთა მეურნეობა, მეფრინველეობის 24 საინკუბატორო სადგური და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმო. საქართველოს 115 ათასზე მეტი კოლმეურნის ოჯახია გაჩირაღდებული ილიჩის ელნათურებით. შრომატევადი პროცესების მექანიზაციის მიზნით 16 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის 2.200-ზე მეტი ელექტრომოტორი მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

თანდათან იზრდება სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ელექტროენერგიის ხვედრითი წონა. თუ 1950 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის საერთო მოხმარება 7 მილიონ კილოვატსაათს უდრიდა, 1953 წელს მან 44 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა.

ცნობილია, რომ ელექტრობას ისე, როგორც ენერგიის არც ერთ სხვა სახეობას, ახასიათებს განაწილების, მართვისა და გამოყენების მრავალი ფორმა.

ელექტროენერგიას მეცხოველეობის თითქმის ყველა შრომატევად პროცესში იყენებენ. იგი ზრდის სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმადობას, ამ მანქანების მომსახურე პერსონალის შრომის ნაყოფიერებას და ამსუბუქებს კოლმეურნის ფიზიკურ შრომას. მეცხოველეობის ელექტროფიცირებული ფერმის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სილოსის საჭრელი მანქანის ელექტროამძრავზე გადაყვანით შრომის ნაყოფიერება 2-6-ჯერ იზრდება, წვნიანი საკვების საჭრელი მანქანა შრომის ნაყოფიერებას ზრდის 3,5-10-ჯერ, კოპტონის დამფხვნელი მანქანა — 6-8-ჯერ, საწველი აპარატი — 2-ჯერ და ა. შ.

ელექტროენერგიამ ფართო გამოყენება ჰპოვა არა მარტო მეცხოველეობაში, არამედ მეფრინველეობაშიც. საფრინველეში დამატებითი განათების, შეთბობისა და ვენტილაციის მოწყობით 10-15 პროცენტით იზრდება ფრინველის კვერცხმდებლობა, თანაც მცირდება ფრინველის დაავადების შემთხვევები. მრავალ კოლმეურნეობაში ინერგება ელექტროლეწვა და ხორბლის გაწმენდა-დახარისხების, შეწამვლის ელექტრომექანიზაცია. 1953 წელს კოლმეურნეობათა მინდვრებზე 155 ელექტროფიცირებული ალო და 370-ზე მეტი ხორბლის გასაწმენდ-დამხარისხებელი ელექტროფიცირებული მანქანა მუშაობდა. გადაწყვეტილია წელს დამატებით მოეწყოს 90 ელექტროფიცირებული სალეწი პუნქტი.

შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის დანერგვის მნიშვნელობას მოწმობენ შემდეგი მაგალითები:

თელავის რაიონის სოფ. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავში“ მეცენარეობის, მეცხოველეობის და დამხმარე საწარმოების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის იყენებენ 115 კილოვატის საერთო სიმძლავრის 18 ელექტრომოტორს. კოლმეურნეობამ ელექტროამძრავზე გადაიყვანა ხორბლის სალეწი, სანიავებელი, დამხარისხებელი და მეცხოველეობის ფერმის საკვების შესამზადებელი მანქანები, რის შედეგად 1953 წელს 6.418-ზე მეტი შრომადღე დაზოგა. ამავე რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავემ“ საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციის შედეგად გასულ წელს 3.300-ზე მეტი შრომადღე დაზოგა. ასეთივე მაგალითები გვაქვს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობაში, თბილისის გარეუბნის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და ა. შ.

ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომლებმაც ვერ მოაგვარეს ელექტროენერგიის საწარმოო პროცესებში გამოყენება, სჯერდებიან საცხოვრებელი ბინების, კულტურულ-საგანმანათლებლო შენობების განათებას და ელემენტარული საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციის განხორციელებას.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა 50,7 პროცენტს არა აქვს არც ერთი ელექტრომოტორი. ასეთი ჩამორჩენის დაძლევისათვის მეტად უნდა იზრუნონ რაიონების პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა.

წელს სოფლის ელექტროფიკაციის მასშტაბის შემდგომი გაფართოებისათვის, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სოფლის მეურნეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მიზნით 1.000 ელექტრომოტორი უნდა დაიდგას. ეს რაოდენობა 2,5-ჯერ აღემატება 1953 წელს დადგმულ ელექტრომოტორთა რაოდენობას. სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვთ მტს-ებს, „საქსოფლელექტროს“ და „საქსოფლენერგოს“ რაიონულ კანტორებს. მტს-ებში წელს შეიქმნა ელექტროტექნიკოსის სამტატო ერთეული. მტს-ების ელექტროტექნიკოსთა ამოცანაა დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ელექტროენერგიის ეფექტიანად გამოყენებასა და ელექტროდანადგარების რაციონალურ ექსპლოატაციაში.

ბოგდანოვკის, განძნის, წალკის, დმანისის, ლაგოდეხის, თელავის, გურჯაანის, დიღმის, მარტყოფის, ჭიათურის, ზუგდიდის და ბევრ სხვა მტს-ში შექმნეს ელექტროსამონტაჟო ბრიგადები და საკუთარი ძალებით შეუდგნენ საკოლმეურნეო წარმოებაში ელექტროამძრავების დამონტაჟებას. მაგრამ ზოლნისის, თამარისის, ბადიაურის, კაჭრეთის, ტყვიავის, ხაშურის, ქარელის, წულუკიძის და ზესტაფონის მტს-ებს დღემდე არ დაუკომპლექტებიათ შტატები ელექტროტექნიკოსებით, არ შეუქმნიათ ელექტროსამონტაჟო ბრიგადები.

სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის დანერგვის 1954 წლის გეგმას წარმატებით შესრულებისათვის დიდი ამოცანები ეკისრებათ „საქსოფლელექტროს“ და „საქსოფლენერგოს“ საარაიონთაშორისო კანტორებს, რომლებიც ისე ვერ მუშაობენ, როგორც საჭიროა.

„საქსოფლელექტრომ“ ელექტრომოტორების დამონტაჟების 5 თვის გეგმა იხოლოდ 43 პროცენტით შეასრულა, „საქსოფლენერგომ“ — 74 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის მუშაკებისა და მექანიზატორთა მოვალეობაა მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტროენერგია მოსავლის აღების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, სრულ წესრიგში მოიყვანონ ელექტროფიცირებული კალოები, მოაწყონ ახალი ელექტროფიცირებული სალეწი პუნქტები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არც ერთი ტრაქტორი არ იყოს მოცდენილი ლეწვაზე, თუ არსებობს სალეწთან ელექტროენერგიის მიყვანის ტექნიკური საშუალებანი. ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობაში ყველა სანიავებელი და დამხარისხებელი მანქანა გადაყვანილ უნდა იქნას ელექტროამძრავებზე. ამით საგრძნობლად შევუმსუბუქებთ კოლმეურნეებს ფიზიკურ შრომას და გავზრდით მათი შრომის ნაყოფიერებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ცალკეული პროცესების მექანიზაციისათვის არ იძლევა იმ მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს, რაც შეუძლია მოგვცეს კომპლექსური ელექტრომექანიზაციის ვითარებაში. მაგალითად, ფერმაში მარტო ელექტროწველის შემოღება ამსუბუქებს მწველავის ფიზიკურ შრომას და ზრდის მის ნაყოფიერებას, მაგრამ ამასთან არ გვაძლევს საშუალებას შევამციროთ მწველავთა რიცხვი, რადგან მწველავი ფერმაში ასრულებს სხვა დამატებით სამუშაოებსაც — საკვების შემზადებას, საკვების გადმოზიდვას, პირუტყვის დარწყულებას, რძის პირველად გადამუშავებას და ა. შ. მაგრამ თუ განვახორციელებთ ფერმის კომპლექსურ ელექტრომექანიზაციას, მწველავთა რიცხვის შემცირება შესაძლებელი იქნება. ასევე უნდა ითქვას, რომ კომპლექსურად მოწყობილ ელექტროფიცირებულ კალოზე ლეწვის ხანგრძლივობა მცირდება 1,5-ჯერ, ხოლო მომსახურე პერსონალის საჭიროება 35-დან — 11-13 კაცამდე.

ახლა მთავარია გაბედულად და ფართოდ დავნერგოთ საკოლმეურნეო წარმოებაში ავტომატიზაცია და შრომატევადი პროცესების კომპლექსური ელექტრომექანიზაცია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების ზრდა, რაც იქნება წინგადადგმული ნაბიჯი ჩვენი სოფლის მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

ვ. მეტრეველი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მიხ. მრევლიშვილის „მოთხრობები“

საბჭოთა ლიტერატურის მთავარი თემა თანამედროვე ცხოვრებაა. აქ ყოველი მწერალი იპოვნის მდიდარ მასალას, მრავალ საინტერესო პროტოტიპს სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. მიხეილ მრევლიშვილის პროზაული ნაწერების დიდი უმეტესობა თანამედროვე ცხოვრების ფონზეა გაშლილი, ხატავს ჩვენი დროის ვმირების სულიერი სამყაროს მრავალფეროვნებას, სახელგამის მიერ გამოცემული „მოთხრობები“ მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს მწერლის შემოქმედებით ზრდაზე და დოსტატებაზე.

წიგნი იხსნება მოთხრობით „წერილი ბელადს“. მასში ნაჩვენებია ჩვენი ხალხის ერთსულოვნება და დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო. მწერალი ორიგინალური კუთხით ხატავს კოლმეურნეთა კოლორიტულ სახეებს. ეს მიღწეულია არა დიალექტის ენაზე მათი ამეტყველებით, არამედ თვითეულის საქმეების, ერთმანეთთან დამოკიდებულების, ფიქრებისა და გრძნობების მართალი გამოხატვით. მოთხრობაში შექმნილ სიტუაციებში მკაფიოდ იგრძნობა ხალხის ერთსულოვნება, სიხარული, საერთო ინტერესი და კოლექტიურობის სულისკვეთება. მკითხველის თვალწინ ნათლად ჩანან სარიდონის, ამირანის, ილოს, ბერდიას, ზეზვას მართალი და სრულყოფილი პორტრეტები.

შედარებით უფრო რთულია იონას სახე („იონა ოსტატი“). მან სამამულო ომში შვილი დაკარგა, ამაზე დარდმა მთელი მისი არსება შეძრა და ინდიფერენტული განწყობილება ჩაუნერგა, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში არ შეიძლება კაცი ცხოვრებისაგან განდგომილად დარჩეს. იონას ოსტატობაც ქვეყანას სჭირდება ახალგაზრდების აღსაზრდელად. შვილიშვილის უჩასა და სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თხოვნამ — დათანხმდეს სასწავლებელში ოსტატად მუშაობაზე — იონა ისევ ცხოვრებასთან დააბრუნა, მის არსებობას მიზანი მისცა. მოთხრობაში სიყვარულით ნაჩვენებია მოხუცი მამის გულწრფელი გრძნობა, საბჭოთა სოზაგადოებრიობის ჰუმანურობა, მისი ზეგავლენა ადამიანზე, ბაზგასმულია, რომ იგი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ პიროვნებასაც სწორ გზაზე დააყენებს, კუთვნილ ადგილს მიუჩენს და სულიერად აღაფრთოვანებს. ეს მიღწეულია სინამდვილის სწორი შეკნობისა და ბუნებრივი, დამახასიათებელი სიტუაციების შექმნით.

ნაწარმოების მთავარი გმირი — იონა ოსტატი სიყვარულით არის გამოკვეთილი. მისი გარეგნობა და შინაგანი სამყარო, სულიერი განცდები, დარდი, სიხარული დამაჯერებლად არის ნაჩვენები. მკითხველი ბუნებრივად მიიჩნევს დარდიანი კაცის ჩაფიქრებულ ჯდომას აივანზე, უნას ჩამოსვლის ამბის შეტყობით გახარებული მოხუცის ფუსფუსს — ტანსაცმლის გამოცვლას, სახელოსნოს მოლაგებას და ა. შ. ასეთი დეტალებით მოხერხებულად გახსნილია იონას სახე და ამაშია მწერლის გამარჯვებაც.

„იონა ოსტატში“ თხრობა ლაკონიურია, ენა გამართული და მიმზიდველი, მოვლენები — ნათლად და მკაფიოდ არის აღწერილი. ეპიზოდურ პერსონაჟებსაც მკითხველი კარგად აღიქვამს. ნაწარმოებები კომპოზიციურად შეკრულია, მთელი ამბავი ძალდაუტანებლად არის გადმოცემული, მოსაყოლი ამბების ხასიათის მიხედვით იცვლება კილოც და მზადდება ნიადაგი თვითეული სურათის მკაფიოდ გამოსაკვეთად.

საინტერესო საკითხია აღძრული „შიშში“. აქ ავტორი გვიხატავს წარსულის ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს, რომელიც საბჭოთა სინამდვილისა და სოციალისტური შრომის ზეგავლენით გარდაქმნილა, დაუმსახურებია ჩვენი საზოგადოების ნდობა. მაგრამ რაც უფრო დიდია არტანელის სიყვარული კოლმეურნეობისადმი, მით უფრო იზრდება მასში სინდისის ქეჯნა იმ წარსულისადმი, რომელიც მას ახლა თავისი ცხოვრების ლაქად მიაჩნია. არტანელი ვერ პოულობს თავის თავში ძალას, რომ სთქვას ეს პირდაპირ პარტიისა და საზოგადოების წინაშე. მხოლოდ შემთხვევითი შეხვედრა თავის ძველ ამხანაგთან — რაიკომის მდივანთან აძლევს მას ბიძგს აღიაროს თავისი წარსული ხალხის წინაშე.

უნდა შევნიშნოთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის არტანელის „ტრაგედია“ მოთხრობაში ოდნავ გაჭიანურებულად არის გადმოცემული. თითქმის ყველა გვერდზე ეხვდებით ადგილებს, სადაც მოქმედ პირს კიცხავს იდუმალი ხმა, რომ მოატყუა პარტია და ხალხი, რომ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ იპოვნის, ხალხი ყველაფერს შეიტყობს და არტანელიც დაკარგავს სახელს, პატივს...

ამ ფიქრებით შეწუხებული და გაორებული არტანელი დაბორიალებს ზვრებში, ბაღებში და ცდილობს შრომით გამოისყიდოს თავისი ძველი შეცდომა. უკეთესი იქნებოდა, რომ ავტორს არტანელის ცოდვების აღიარება შემთხვევითობაზე არ დაემყარებინა.

მწერალმა მეტად საინტერესო საკითხი აღძრა „მისი სურათის გმირში“. მან ეს მოთხრობა კონტრასტებზე აიგო და მხატვარი ქალის პიროვნული ცხოვრება დაუკავშირა შემოქმედებით შრომას. მაგრამ გმირის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ოდნავ ნაჩქარევია და ამიტომ მაგდა მეტად გულუბრყვილო ადამიანად გვეჩვენება.

თანამედროვე ცხოვრების შესახებ დაწერილი მოთხრობებიდან ყველაზე ეფექტურია ცნობილი „ხარატაანთ კერა“. ავტორი აქ უნარიანად იყენებს მთელ მხატვრულ შესაძლებლობას, აგვლენს ცხოვრების ცოდნას, მის მოვლენებში ჩაწვდომის უნარს, ადამიანთა სულიერი სამყაროს დახატვის ოსტატობას. ზურია ხარატელის, ნატოს, აკმაა ხუციურაულის სახეებმა მოწონება პოვა მკითხველთა ფართო წრეებში. ისინი სიმართლით, ობიექტურად გამოსახავენ ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებებს, მათ ახასიათებს მორალური სიწმინდე, კეთილშობილური გრძნობები, ჯანსაღი მისწრაფებანი. მწერალმა გვიჩვენა მოქმედ პირთა სულში ჩაწვდომის, საყოფაცხოვრებო დეტალების კარგად შერჩევის უნარი. მოთხრობა კომპოზიციურად შეკრულია, ძირითადად დამაჯერებელია დრამატული სიტუაციები. მისი გმირები ცოცხალ სახეებად შევიდნენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ყურადღებით იკითხება „ოქროს ზარნიშიანი ხანჯალი“. ავტორი გვიჩვენებს სამამულო ომის მონაწილე მებრძოლთა გმირობას და მათზე საბელოვან წინაპართა ვაჟკაცობის შთამაგონებელ გავლენას.

მ. მრევლიშვილის „მოთხრობების“ თემა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება როდია. „სემდა“ გვიამბობს კაპიტალის ბატონობის ბრჭყალებში მოქცეული ადამიანების გაუხარელ ცხოვრებაზე.

მოთხრობას აქვს დაძაბული სიუჟეტი, შეკრული კომპოზიცია. ავტორის თხრობა დინჯია, ხასიათები მკაფიოდ გამოკვეთილი. მკითხველი ეცნობა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა უფლებებას, დამცირებულ, შეურაცხყოფილ და გაუხარელ ცხოვრებას. კარგად არის ნაჩვენები, თუ რა საოცნებო მხარედ მიაჩნიათ ჩაგრულ ადამიანებს ჩვენი ქვეყანა, როგორი იმედით შეჰყურებენ მას, თავიანთი განთავისუფლების სიმბოლოს.

სარეცენზიო წიგნი ნათელ წარმოდგენას იძლევა მწერლის შემოქმედებაზე. ავტორს ახასიათებს თხრობის რეალისტური მანერა, მოქმედ პირთა კოლორიტულად გამოკვეთის შესაძლებლობა, მართალი, დამაჯერებელი სიტუაციების შექმნის ოსტატობა. ეს განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოვლინებული „ხონა ოსტატში“, „ხარატაანთ კერასა“ და „სემდაში“. „შიშში“ და „მისი სურათის გმირში“ მწერალი აყენებს საღავო საკითხებს, თხრობაც ხანდახან გაჭიანურებულია.

მიხეილ მრევლიშვილი ქართული პროზის მნიშვნელოვანი ძალაა. მისგან მკითხველი მოელის იღუურად და მხატვრულად მხოლოდ მაღალ დონეზე მდგომ ნაწარმოებებს.

ტ. კვანჭილაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მზიური საქართველოს პავილიონი

გრილი გაზაფხული იყო წელს მოსკოვში. მაგრამ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეგიძლიათ ნახოთ უკვე თითქმის მწიფე, ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული ლიმონისა და მანდარინის ხეები. მაღალ ანიდულან პალმების მარაოსებრი ფოთლები. ფართოდ გაუშლია ტოტები უზარმაზარ ფინიკის პალმას, რომლის სიმაღლე 12 მეტრს აღწევს.

ამ კულტურებმა, რომლებიც შორეულ სუბტროპიკებში ხარობენ თბილი შავი ზღვის სანაპიროზე, თავისი მეორე სამშობლო ჰპოვეს საქართველოს სსრ პავილიონის ორანჟერიაში. სიცივისაგან ლითონის მომინულ ჩარჩოებში დაცული, ისინი კარგად ხარობენ, ვითარდებიან, ნაყოფს ისხამენ.

საქართველოს სსრ პავილიონი, რომელიც მოთავსებულია გამოფენის ცენტრალურ მოედანზე, ყურადღებას იქცევს მდიდარი არქიტექტურით, რთული ეროვნული ჩუქურთმით, პორტიკის მაღლა აღმართული ლამაზი კოლონადით. აქ ჯერ კიდევ მუშაობენ მხატვრები და მოქანდაკეები, ბუტაფორები და დეკორატორები. მაგრამ ახლავე შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა მდიდარი ექსპოზიციებით შეხვდება პავილიონი მნახველებს.

პავილიონის დირექტორი გ. დ. ქადაგიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ პავილიონში სანახავად წარმოდგენილი იქნება სამი დარბაზი, მდიდარი ორანჟერია და საცდელი ნაკვეთი, სადაც დარგულია რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მცენარეები.

პირველი დარბაზი — შესავალი, — ასახავს იმას, თუ რა კოლოსალურ წარმატებებს მიაღწია ქართველმა ხალხმა თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. დამთვალიერებელი აქ ნახავს ლამაზ პანოებს, გაეცნობა ციფრობრივ და საილუსტრაციო მასალას, რაც ახასიათებს საბჭოთა საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, სახალხო განათლების, ხელოვნების განვითარებას.

შესავალი დარბაზიდან მნახველი შედის სუბტროპიკული კულტურების დარბაზში. აქ მის თვალწინ გადაიშლება საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ფლორის მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

მას, ვინც ნახავს საქართველოს სსრ პავილიონს, შეუძლია შეისწავლოს ჩვენი იმ მოწინავის მეთოდები, რომლებიც იბრძვიან სოციალისტური მინდვრების უხვი მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელი ზრდისათვის. იგი გაეცნობა იმას, თუ როგორ მიაღწია სიმინდის არაჩვეულებრივ მოსავლიანობას სოციალისტური შრომის გმირმა გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა როგვავამ, როგორ გამოიყენა მეაბრეშუმე ღვინეფაძემ ახალი ჯიშის აბრეშუმის ჭია, რომელიც იძლევა ჩვეულებრივზე 27 პროცენტით მეტ პარკს, და საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა სხვა მიღწევებს.

ორმოცი სახეობის ძვირფასი სუბტროპიკული კულტურა ხარობს საქართველოში. ფართოდ იყენებენ რა მექანიზაციას, მოწინავე საბჭოთა აგრონომიკის საუკეთესო მიღწევებს, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ. აი, მაგალითად აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობისადმი მიძღვნილი სტენდი. აქ, 112 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში, წარმოებს ხელოვნური გაწვიმება. ამ ღონისძიების ეფექტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა — ჩაის ფოთლის მოსავალი თითქმის 30 პროცენტით დიდდება. დიდ შედეგებს მიაღწია სელექციონერმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ქ. ე. ბახტაძემ. მისი შრომისადმი მიძღვნილ სტენდზე თვალნათლივ ჩანს, თუ ინდური და ჩინური ჯიშების ჩაის შეჯვარებით, მცენარის მრავალგზის შერჩევითა და გაზრდით როგორ გამოიყვანა მან ორი ახალი ჯიშის ჩაი — „ქართული № 1“ და „ქართული № 2“. პირველი გამოირჩევა ფოთლის მაღალი ხარისხით და მისი მოსავლიანობით, რომელიც 30 პროცენტით აღემატება ჩვეულებრივი ჯიშების მოსავლიანობას. მეორე ჯიში აგრეთვე უხვმოსავლიანი და ხარისხიანია, ხოლო ამავე დროს ხასიათდება იმით, რომ კარგად უძლებს ზამთარს.

მოწინავე გამოცდილება, რომელსაც სწრაფად ეუფლებიან და ავრცელებენ მეჩაიეები, შესანიშნავ მაჩვენებლებს იძლევა. პავილიონში წარმოდგენილია მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც თითქმის ექვსი ტონა ჩაის ფოთოლი მოჰყავს 192,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე. მეორე ექსპონენტია საპატიო ნიშნის ორდენოსანი ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ განუწყვეტლივ ადიდებს თავისი პლანტაციების მოსავლიანობას, განუხრელად ზრდის თავისი მუშაობის რენტაბელობას. ამას დამაჯერებლად მოწმობს ასეთი ფაქტი. ამ საბჭოთა მეურნეობამ, რომელსაც 500 ჰექტარი პლანტაცია აქვს, 1947 წელს მიიღო 2,6 მილიონი მანეთი მოგება, 1949 წელს — 5,5 მილიონი, ხოლო 1953 წელს — 15 მილიონი მანეთი.

ქართველ მეჩაიეებს მუშაობაში ხელს უწყობს მოწინავე მეცნიერების საუკეთესო მიღწევები. ამას კარგად ასახავს სტენდი, რომელიც მიძღვნილია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობისადმი.

ჩაის გაშენების პრაქტიკოსთა და მეცნიერ მეჩაიეთა მთელი ამ შემოქმედებითი მუშაობის შედეგები შეიძლება თვალნათლივ დავინახოთ სტენდზე წარწერით „ქართული ჩაი“. რესპუბლიკაში მუშაობს 63 ჩაის ფაბრიკა, რომლებიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით. ისინი ყოველწლიურად სულ უფრო მეტ პროდუქციას უშვებენ. 1946 წლიდან ოთხჯერ და უფრო მეტად გადიდდა ქართული ჩაის გამომუშავება, რომელსაც შესანიშნავი გემო და სურნელება აქვს.

1921 წელს, როცა საქართველოს მშრომელები ის იყო განთავისუფლდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტების — მენშევიკების ბატონობისაგან, სახალხო მეურნეობისათვის ძვირფასი ციტრუსოვანი კულტურების ფართობი სრულიად უმნიშვნელო იყო. ახლა იგი ორმოცდაათჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

იმავე დარბაზში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა ჩვენებას, რომლებიც რეპუბლიკაში უდიდესი გაქანებით ხორციელდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განუხრელ აღმავლობას მხარდამხარ მიჰყვება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის. ახლა რესპუბლიკაში მუშაობს 3 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 29 ტექნიკუმი, 10 მასობრივი კვალიფიკაციის სკოლა, 4 სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი. პავილიონში ფართოდ არის ნაჩვენები საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში სტაციონარზე სწავლობს 2.883 სტუდენტი და დაუსწრებელზე — 1.141 სტუდენტი. ცნობილია დიდი სამუშაოები, რომლებიც ამ სასწავლებელმა განახორციელა მცენარეთა ნიადაგების გაკირიანების, მორწყვის დარგში, იონჯა-მარცლოვანების ნარევბალახეულის უხვი მოსავლის მიღებაში და სხვ. მტს-ების 1.180 მექანიზატორი, აგრონომი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე სწავლობდა 1952-1953 წლებში ამ ინსტიტუტთან შექმნილ გადასამზადებელ კურსებზე.

ქართველ მხვნელ-მთესველთა, მეაბრეშუმეთა, მეთამბაქოეთა, მეცხოველეთა, მებაღეთა და მევენახეთა თვალსაჩინო წარმატებებს გაეცნობა, ვინც ნახავს პავილიონის მესამე დარბაზს. აქ მის ყურადღებას უწინარეს ყოვლისა მიიპყრობს უზარმაზარი პანოები. იგი დაინახავს მზის სხივებით გაკაშკაშებულ მდინარე ალაზნის ფართო ველს, სადაც მოჰყავთ უძვირფასესი ჯიშის ყურძენი, დაინახავს მაღალი მთის ალპურ მდელოებს, სადაც აძოვებენ ცხვრის ფარებს, დაინახავს გორის რაიონის პეიზაჟს, სადაც კოლმეურნეებს მოჰყავთ რესპუბლიკაში საუკეთესო ჯიშის ვაშლი და ატამი.

სწრაფად იზრდება რესპუბლიკის მტს-ების მანქანა-ტრაქტორთა პარკი. ამ ზრდის თვალსაჩინო მონაცემებია წარმოდგენილი პავილიონში. 1946 წელთან შედარებით ერთისამად და უფრო მეტად გადიდდა მისი სიმძლავრე.

დარბაზში წარმოდგენილ

სსრ კავშირში ატომის ენერგიით პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის ამუშავების გამო

ლონდონი, 1 ივლისი. (საკდესი). ცნობას სსრ კავშირში ატომის ენერგიით პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის ამუშავების შესახებ ფართოდ აღნიშნავს ინგლისის პრესა.

„დეილი უორკერის“ მოსკოველი კორესპონდენტი წერს, რომ ამ ისტორიულ მოვლენას „გაცილებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველი ატომური ბომბის ჩამოგდებას ხიროსიმაზე“.

როგორც „ნიუს კრონიკლის“ სამეცნიერო მიმომხილველი აღნიშნავს, ცნობა ატომური ელექტროსადგურის ამუშავების შესახებ ნიშნავს, რომ სსრ კავშირმა ორი წლით გაუსწრო ინგლისს, რადგან ინგლისი დაახლოებით მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლებს ატომის ენერგიით აამუშაოს პირველი სამრეწველო ელექტროსადგური.

„დეილი მეილს“ მოჰყავს იმ უწყების თავმჯდომარის განცხადება, რომელიც ატომის ენერგიის საკითხებზე მუშაობს. მან თქვა: „ჩვენ არა გვაქვს უშუალო ცნობები, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსებმა ეს სადგური შექმნეს ძალიან მოკლე ვადაში“.

„ტაიმსის“ სამეცნიერო მიმოხილველი წერს, რომ მოსკოვის ცნობა კვლავ ადასტურებს რუსეთის წარმატებებს ატომის ენერგიის განვითარების დარგში.

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში ამუშავდა მსოფლიოში პირველი სამრეწველო ელექტროსადგური, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს, ლონდონის ატომის სპეციალისტთა წრეები დიდი ინტერესით შეხვდნენ.

ინგლისი, განაგრძობს კორესპონდენტი, აშენებს ატომურ ელექტროსადგურს. ფიქრობენ, რომ ინგლისის ელექტროსადგური, რომელიც კოლდერპოლში შენდება, ამუშავდება არაუადრეს 2,5 წლის შემდეგ. იმ უწყების წარმომადგენელმა, რომელიც ატომის ენერგიის სამრეწველო მიზნით გამოყენების საკითხებზე მუშაობს, 30 ივნისს საღამოს განაცხადა, რომ როგორც ჩანს, რუსებმა სწრაფად განახორციელეს ატომის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურის შექმნის გეგმები, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომელიც საჭიროდ მიიჩნიათ ასეთი სამუშაოებისათვის.

შანხაი, 1 ივლისი. (საკდესი). გამოეხმაურა რა სსრ კავშირში ატომის ენერგიით ელექტროსადგურის ამუშავებას, ტოკიოს რადიო იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი აგრეთვე გეგმავენ ატომური ელექტროსადგურის შენებლობას, მაგრამ მათი შენებლობის დამთავრება დასახულია 1956–57 წლებისათვის. ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ინგლისსა და ამერიკას ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში, ცხადყოფს, რომ საბჭოთა მეცნიერებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ატომის ენერგიის დარგში.

იაპონიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა ატომეულის ფიზიკის დარგში პროფესორმა იოსიო ფუძიოკამ, რომელიც კომენტარს უკეთებს სსრ კავშირში ატომის ენერგიით ელექტროსადგურის ამუშავების შესახებ ცნობას, განაცხადა, რომ ამით იწყება „ახალი ერა“.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის აზომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებულ კომისიაში

ლონდონი, 1 ივლისი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ამერიკის კონგრესის ატომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებულმა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოკავშირე ერებს ერთმანეთს გაუზიარონ საიდუმლო ინფორმაციები, რაც ატომეულის გამოკვლევას შეეხება, და საშუალებას აძლევს კერძო მრეწველებს გამოიყენონ ატომის ენერგია.

კანონპროექტი მოწონებულ იქნა გუშინ საღამოს, მალე მას შემდეგ, რაც მოსკოვში გამოცხადდა, რომ სსრ კავშირში ამუშავდა მსოფლიოში პირველი ატომური ძალსადგური.

კონგრესის გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარე კოულმა განაცხადა, რომ იგი დაჟინებით მოითხოვს კონგრესსა მოიწონოს კანონპროექტი, გაითვალისწინოს მოსკოვიდან მიღებული ცნობა.

გვატემალის ამბები

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ გვატემალის ახლანდელ ცვლილებებში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რატლეჯი ქალაქ გვატემალიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა გვატემალაში პერიფუამ „მთავარი როლი შეასრულა როგორც მრჩეველმა მთავრობის სწრაფ შეცვლაში“, რაც გვატემალაში უკანასკნელი დღეების მანძილზე მოხდა.

როგორც რატლეჯი აღნიშნავს, პერიფუამ განაცხადა, ხელისუფლების სათავეში მონსონის ხუნტის ჩადგომა „ჩვენი გამარჯვებაა“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი კენედი ქალაქ გვატემალიდან იუწყება, რომ პერიფუამ დიდნიშვნელოვანი როლი შეასრულა მონსონის ხროვასა და არმიასს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ „მოლაპარაკების“ მოწყობაში.

გვატემალის რადიოს ცნობით, გვატემალის მთავრობის ხუნტის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი მონსონი სან-სალვადორს გაემგზავრა, სადაც არმასთან დაიწყო მოლაპარაკება დაზავებაზე.

გვატემალიდან იუწყებიან, რომ მონსონის ხროვამ გააძლიერა ტერორი გვატემალის სახალხო ძალების წინააღმდეგ, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, „მთავრობის პოლიციამ დაჩხრიკა ქალაქი“ და ეძებდა გვატემალის აკრძალული შრომის პარტიის წევრებს. ბევრი დააპატიმრეს. კორესპონდენტი შემდეგ წერს: „სხვა პოლიციელები იარაღს არომევდნენ მოსახლეობას. გაიცა ბრძანება, რომ იარაღი ჩააბარონ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 24 საათში; ამ ვადის შემდეგ ვისაც არალეგალურად შენახულ იარაღს უპოვნიან, დახვრეტენ“.

ეიზენჰაუერისა და ჩერჩილის დეკლარაცია ვაშინგტონის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ

ვაშინგტონი, 29 ივნისი. (საკდესი). მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ეიზენჰაუერმა და ჩერჩილმა გამოაქვეყნეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ამტკიცებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მომავალში „მჭიდრო თანამშრომლობით განაგრძობენ გაერთიანებულ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ატლანტიკის ქარტიის პრინციპებზე დაფუძნებული მშვიდობა მთელ მსოფლიოში“.

დეკლარაციაში ნაჩვენებია იმ პოლიტიკის საფუძვლები, რომლის განხორციელებასაც ორივე ქვეყნის მთავრობები აპირებენ საერთაშორისო ურთიერთობის დარგში; ეს პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც ინგლის-ამერიკის ბლოკი დღემდე ახორციელებდა.

კერძოდ, დეკლარაცია შეიცავს აღიარებას, რომ „მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე წინწაწევდა ყველა კლასისა და ტიპის იარაღის საყოველთაო და გადაჭრით შემცირების შედეგად, თუ ამასთან ეფექტიანი გარანტიები იქნებოდა“, აგრეთვე დაპირებას „მტკიცედ შეუწყონ ხელი ისეთი პირობების შექმნას, რომელთა დროსაც უდიდესი ატომური ძალები, რომლებიც ახლა ადამიანის ხელშია, შეიძლება გამოყენებულ იქნას კაცობრიობის გასამდიდრებლად და არა მის მოსასპობად“. მაგრამ დეკლარაცია თავდება იმის გამოცხადებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი აპირებენ „განავითარონ და ხხარო დაუპირონ სუფლიერ, ეკონომიურ და სამხედრო ძალას“, რათა მიღწეულ იქნას დეკლარაციაში ჩამოთვლილი მიზნები.

ჩერჩილსა და ეიზენჰაუერს შორის მოლაპარაკების შემდეგ

ვაშინგტონი, 29 ივნისი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა რესპუბლიკელ ეიზენჰაუერის (ოჰაიოს შტატი) მიერ შეტანილი შესწორება „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის“ კანონპროექტში. ეს შესწორება მიმართულია საბჭოთა-აღმოსავლეთ აზიაში უშიშრობის გეგმის წინააღმდეგ. შეიტანა რა თავისი შესწორება, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს სჯერათ ინგლისთან მჭიდროდ მჭიდროდ თანაარსებობის შესაძლებლობა. მაგრამ, თქვა მან, კონგრესმა ნათლად უნდა აღნიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ დიდოს საბჭოთა-აღმოსავლეთ აზიაში ან ტიბის რაიმე ხელშეკრულება, რომელიც ოდესმა წამოაყენა. შესწორებაში რეკომენდებულია თავი შეიკავონ ამ სახსრები, რომლებიც გამოყოფილია „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის“ კანონპროექტის შესაბამისად, არ გამოიყენონ იმ მთავრობებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც დაუკავშირდებიან სახელშეკრულებო ვალდებულებებით „კომუნისტურ ქვეყნებს“.

ამ შესწორების განხილვის დროს დემოკრატების ლიდერმა წარმომადგენელთა პალატაში მაკორმაკმა (მასაჩუსეტსის შტატი) წარმოთქვა მკვეთრი ანტიინგლისური სიტყვა. მან განაცხადა, რომ იგი „დიდად აღშფოთებულია“ იდენის გამოსვლით თემთა პალატაში.

წარმომადგენელთა პალატამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება აკრძალოს ახალი სახსრების ასიგნება საბჭოთა თვითმფრინავების საწარმოებლად ინგლისში. კანონპროექტში გათვალისწინებული იყო 75 მილიონი დოლარის ასიგნება ამ მიზნებისათვის, მაგრამ წარმომადგენელთა პალატამ უარყო ახალი ასიგნობანი.

გაზეთი „მონდი“ ჩერჩილის მოლაპარაკების შესახებ ვაშინგტონში

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის ვავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი „მონდი“ ჩერჩილისა და ეიზენჰაუერის ერობლივ დეკლარაციას ვაშინგტონის მოლაპარაკების შესახებ „ფუჭ ქარტიას“ უწოდებს. „თანამედროვე დიპლომატიის უცნაური საზრუნავია, — წერს გაზეთი, — იმის სურვილი, რომ „ოქატურად აწონ-დაწონილი ფორმულების საშუალებით რადაც უნდა დაჯდეს აღიეჭდოს ქაღალდზე შეთანხმებანი, რომლებიც აქც გონებაში არსებობენ, არც გულში. მართლაც სავსებით აშკარაა ვაშინგტონსა და ლონდონს შორის უთანხმობა, რომელიც ჩერჩილისა და ეიზენჰაუერის მოლაპარაკების შემდეგაც რჩება. განა წარმომადგენელთა პალატამ ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწეთა გამომგზავრების დღეს არ მოიწონა რეზოლუცია, რომ შეუწყვეტონ დახმარება ქვეყნებს, რომელთა დანაწაული ის არის, რომ მიემხრნენ „აზიის პაქტს“, რომელიც ოდესმა წარადგინა?“

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩერჩილისა და ეიზენჰაუერის „ქარტია“ „ახალს არაფერს ამბობს“.

კოვენტრის ღორღ-მერის ნეარიღი სსრ კავშირის ელჩისადმი ინგლისში

ლონდონი, 30 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში მალიკმა წერილი მიიღო კოვენტრის ლორდ-მერის ჯონ ფენელისაგან. წერილში ნათქვამია:

თქვენო ექსელენციავ, როგორც ქალაქ კოვენტრის ლორდ-მერსა და კოვენტრისა და სტალინგრადს შორის მეგობრული კავშირის კომიტეტის ამასწინათ არჩეულ თავმჯდომარეს, მე მეტად სასიამოვნოდ მიმაჩნია, როგორც ერთ-ერთი პირველი ჩემი მოვალეობა თქვენი მეშვეობით გადავცე სტალინგრადის მოსახლეობას კოვენტრის მოსახლეობის მისალმება და კეთილი სურვილები. კოვენტრისა და სტალინგრადს შორის მეგობრული კავშირის კომიტეტმა (რომელიც შექმნა მუნიციპალურმა საბჭომ, რათა ხელი შეუწყოს მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას ამ ორ ქალაქს შორის, რომლებიც ასე ძლიერ დაზარალდნენ ფაშისტური აგრესიით) თავის ამასწინანდელ სხდომაზე მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„წყალბადის ბომბის გამოყენების საფრთხესთან დაკავშირებით მთელ ინგლისში უდიდესი შეშფოთების გამო, სტალინგრადის საქალაქო საბჭოს გაეგზავნება წერილი წინადადებით, რომ ჩვენმა ორმა ქალაქმა ერთად მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას, და მოუწოდოს მას აკრძალოს ბომბის გამოყენება, აღნიშნოს ის კოლოსალური ნგრევა, რომელიც განიცადა ორივე ქალაქმა თავდასხმებით წარსული ომის დროს, აგრეთვე აღნიშნონ, რომ კაცობრიობის გადარჩენისათვის ხალხები უნდა გაერთიანდნენ და განაცხადონ, რომ მთ აძიწუნებს და აშფოთებს რომელიმე ქვეყნის მიერ ასეთი იარაღის გამოყენების შესაძლებლობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ორი ქალაქის მოსახლეობა ერთობლივი მოქმედებით შეძლებს ყველა სხვა ქალაქის მოსახლეობაზე უფრო მეტად მიაპყრობინოს მსოფლიო საზოგადოებრიობას ყურადღება ამ საფრთხეზე; ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ სტალინგრადს ჩვენთან ერთად დაიწყოს რაიმე პოზიტიური მოქმედება“.

სპორტის ამბები

საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ტანვარჯიშში

საბჭოთა სპორტსმენების გრწყინვალე გამარჯვება

რომი, 1 ივლისი. (საკდესი). ქალთა გუნდებს შორის სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებაში (სავალდებულო ვარჯიშის, ნებისმიერი პროგრამით ვარჯიშისა და საგნებით კოლექტიური ვარჯიშის შესრულების შემდეგ) სსრ კავშირის გუნდმა მოაროვა 524,13 ქულა, უნგრეთის — 518,28, ჩეხოსლოვაკიის — 510,04, რუმინეთის — 498,57, პოლონეთის — 495,79, იტალიის — 495,77, ბულგარეთის — 495,03, შვეიცის — 490,64, საფრანგეთის — 490,35, დასავლეთ გერმანიის გუნდმა — 486,02 ქულა.

დამთავრდა აგრეთვე ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. შვეიცარიის, იაპონისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებთან შეუპოვარი ბრძოლის შედეგად საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

სსრ კავშირის გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთა წოდება მიიღეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვიქტორ ჩუკარინმა და ვალენტინ მურატოვმა, რომელთაგან თვითეულმა მოაგროვა 115,45 ქულა. უძლიერესი აღმოჩნდნენ საბჭოთა სპორტსმენები ცალკეულ ვარჯიშთა შესრულებაშიც. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: რგოლებზე — აზარიანი, რომელმაც მოაგროვა 19,70 ქულა, ტაიჭზე — შაგინიანი — 19,30 ქულა, ორძელზე — ჩუკარინი — 19,60 ქულა, ღერძზე — მურატოვი — 19,70 ქულა.

მურატოვმა და იაპონელმა ტაკემოტომ გაიყვეს პირველი და მეორე ადგილები თავისუფალ ვარჯიშში. თვითეულ მათგანს აქვს 19,25 ქულა.

მსოფლიო პირველობის ნახევარფინალი

მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება.

საერთო ინტერესს იწვევდა 30 ივნისს შვეიცარიაში გამართული ნახევარფინალური ასპარეზობა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს უნგრეთის გუნდსა და მსოფლიოს ჩემპიონს ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრებ კოლექტივს შორის. გაიმარჯვეს უნგრელებმა ანგარიშით 4 : 2.

ამრიგად, უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი გავიდა მსოფლიო პირველობის გათამაშების ფინალში.

30 ივნისს შვეიცარიაში გაიმართა აგრეთვე მეორე ნახევარფინალური ასპარეზობა დასავლეთ გერმანიისა და ავსტრიის გუნდებს შორის. ეს შეჯიბრება დამთავრდა გერმანელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 6 : 1.

საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ფრენაბურთელთა შეხვედრა

30 ივნისს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები შეხვდნენ რუმინეთის ნაკრებ გუნდებს. მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა. თამაშის ანგარიშია: ქალთა გუნდებისა — 3:1 (15:6, 15:10, 14:16, 15:6), ვაჟთა გუნდებისა — 3:1 (15:12, 12:15, 16:14 და 15:10). (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობაზე

კიევი, 1 ივლისი. აქ გაიმართა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის 1954 წლის პირველობაზე კიევის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1 : 1.

ხარკოვი. 1 ივლისი. ხარკოვის ცენტრალურ სტადიონზე შედგა მორიგი ასპარეზობა ვორკის „ტორპედოსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0.

მზის დაბნელებაზე დაკვირვება საქართველოში

30 ივნისს ათასობით ადამიანი დიდი ინტერესით აკვირდებოდა მზის დაბნელებას.

თბილისში დაბნელება დაიწყო ნაშუადღევის 4 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით, სრული დაბნელება საქართველოს ფარგლებში იყო ქლუხორის, შოვის, უაზბეგისა და დარიალის მაღალმთიან მიდამოებსა და სხვა პუნქტებში. დაბნელებამ 114 წამს გასტანა. სრული ფაზის ზოლის სიგანემ 150 კილომეტრს მიაღწია.

მზის დაბნელებაზე მეცნიერულ დაკვირვებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე აწარმოებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტისა და თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის 6 ექსპედიცია.

მოსკოვის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიის ოპერატორებმა მოაწყეს მზის დაბნელების კინოსურათის გადაღება ყაზბეგის მწვერვალზე. თბილისის კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო მეცნიერ ასტრონომთა მუშაობა. ეს მეცნიერი ასტრონომები დაკვირვებას აწარმოებდნენ ლაგოდეხის რაიონის ერთ-ერთ პუნქტში, რომელიც მდებარეობს მზის სრული დაბნელების ზონის ცენტრალურ ხაზზე. (საქდესი).

სურათზე: ღუმეთში მშრომელები აწარმოებენ მზის დაბნელებაზე დაკვირვებას.

ფოტო შ. გოქაძისა.

წიგნის ერთთვიური

გუშინ, 1 ივლისს, ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო წიგნის ერთთვიური, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნის ვაჭრობის სამმართველომ, ცეკავშირმა და „სოიუზპეჩატის“ საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ.

ერთთვიურის განმავლობაში სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, საბედიცინო, მეცნიერულ-პოპულარული, სასწავლო-მეთოდური, საბავშვო, ტექნიკური და სხვა ლიტერატურა სულ 10 მილიონი მანეთის ღირებულების.

რესპუბლიკის ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, რუსთავში და ყველა რაიონულ ცენტრში ეწყობა წიგნის ბაზრობა. წიგნები გაიყიდება ქალაქის მოედნებზე, ქუჩებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, ბაღებში, კინო-თეატრებში, ბევრ საწარმო-დაწესებულებაში, კურორტებზე და სხვ. მარტო თბილისში „საქწიგნის“ ხაზით წიგნის ვაჭრობა დამატებით მოეწყობა 50-მდე ადგილას.

ერთთვიურის განმავლობაში წიგნების მაღაზიებში მოეწყობა მკითხველთა კონფერენციები, მკითხველთა შეხვედრა მწერლებთან და სხვ.

რამდენიმე სტრიქონით

მასწავლებელთა სახლში

თბილისის მასწავლებლის სახლში არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებლებს უჩვენა ჭ. ხაფავას პიესა „ლილი“, რომლის დადგმა ეკუთვნის შ. ჯანიაშვილს, მხატვრობა ი. პეტრიაშვილს. როლებს ასრულებენ თბილისის სკოლების მასწავლებლები.

ახალი საამქრო

თბილისის წისქვილკომბინატში გაიხსნა ფქვილის დამფასოებელი მექანიზებული საამქრო, რომელიც მყიდველთა უკეთ მომსახურებისათვის დაამზადებს ერთი, ორი და სამი კილოგრამი წონის ფქვილის პარკებს.

ბოშათა თეატრის გასტროლები

გუშინ თბილისში დაიწყო მოსკოვის ბოშათა სახელმწიფო თეატრ „რომენის“ გასტროლები.

თეატრი 23 წელია არსებობს. იგი ჩამოყალიბდა ბოშათა ერთი ჯგუფის ინიციატივით.

ამჟამად თეატრში მუშაობენ დიდი პროფესიული ოსტატობის მქონე მსახიობები — რუსეთ დამსახურებული არტისტები მ. სკვორცოვი, ი. რომ-ლებედევი, მსახიობები ლიალია ჩორნაია, ვ. ბიზეკი, ს. შიშკოვი, ო. იანკოვსკაია, ო. პეტრო